დასკვნა:**დ03.37213281**
თარიღი:**24/11/2021**

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2022 წლის

საბიუჯეტო განაცხადის პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ მიმდინარე წლის 24 ნოემბერს განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი. კომისიის მიერ წარმოდგენილი შენიშვნების, წინადადებების, რეკომენდაციებისა და დასკვნების სხდომაზე განხილვისა და შეჯერების საფუძველზე მომზადდა წინამდებარე დასკვნა, რომელიც საბოლოო სახით ჩამოყალიბდა ქვემოთ მოცემული სახით.

პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, რომელიც განისაზღვრება 27 650.0 ათ. ლარით.

1. საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6^1-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2022 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 24369,5 ათას ლარს შეადგენს. 2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან (22079,8 ათ.ლარი) შედარებით 2022 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 2289,7 ათასი ლარით (10,3%-ით).

2022 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 18269,5 ათასი ლარით;

2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან (16179,8 ათ.ლარი) შედარებით დღგ გაზრდილია 12,9%-ით (2089,7 ათ. ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

Ø **ქონების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 6100,0 ათას

ლარს;

2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან (5900,0 ათ.ლარი) შედარებით ქონების გადასახადი 3,3%-ით (200,0 ათ. ლარით) იზრდება.

2022 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 250,0 ათასი ლარამდე, მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 250.0 ათასი ლარი;

Ø **შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 2630,5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

რენტა 500,0 ათასი ლარი;

Ø **შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 420,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

სანებართვო მოსაკრებლები 150,0 ათასი ლარი;

მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 250,0 ათასი ლარი;

შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული მომსახურების გაწევიდან 20,0 ათასი ლარი;

Ø **შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 1410,5 ათასი ლარის** ოდენობით, მათ შორის:

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო 1410,5 ათასი ლარი;

2021 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან (1200,0 ათ.ლარი) შედარებით შემოსავალი სანქციებიდან 16,8%-ით (210,5 ათ. ლარით) იზრდება, რაც გამოწვეულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დამატებითი საგზაო ვიდეო კამერების დამონტაჟებით.

Ø **ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული განსაზღვრულია 300,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**

შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 300,0 ათასი ლარი;

· **არაფინანსური აქტივების კლების** (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 400.0 ათ. ლარს;

· **ვალდებულებების კლება** (მგფ-ის სესხების დაბრუნება) მაჩვენებელი განისაზღვრება 114,9 ათ. ლარის ოდენობით;

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 27650,0 ათას ლარს (2021 წლის პირველ დამტკიცებულ გეგმასთან (25104,0 ათ,ლარი) შედარებით იზრდება 2546,0 ათ. ლარით).

აღნიშნული ზრდა გამოწვეულია 2 ძირითადი ფაქტორით, საქართველოს

ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2022-2025 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის ტანდართული მასალები) მიხედვით 2022 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 10,8 პროცენტით. შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის ეს მაჩვენებელი შეადგენს 10,1 %-ს.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

- **ინფრასტრუქტურის განვითარება - 6930,0 ათასი ლარი;**
- **დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 2900,0 ათასი ლარი;**
- **განათლება - 4900,0 ათასი ლარი;**
- **კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 5000,0 ათასი ლარი მათ შორის:**
- **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1840,0 ათასი ლარი;**
- **ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა -280,0 ათასი ლარი;**
- **მმართველობა - 5800,0 ათასი ლარი, მათ შორის:**
  - საკრებულოს დაფინანსება - 1250,0 ათასი ლარი;
  - მერია - 3817,0 ათასი ლარი;
  - სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახური -143,0 ათ.ლარი;
  - სარეზერვო ფონდი - 350,0 ათასი ლარი;
  - წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვა -30,0 ათ.ლარი;
  - სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდითვის დასაფარავის თანხა და ვალის მომსახურება 210,0 ათ.ლარი, მათ შორის ძირი 114,9 ათ. ლარი და პროცენტი - 95,1 ათ. ლარი.

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

/ათასი ლარი/

პროგრამული კოდი	**პრიორიტეტი/პროგრამა**	**2022 წლის პროექტი**
1	2	3
01 00	**წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება**	**5 800,0**
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	5 210,0
01 01 01	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო (010101)	1 250,0
01 01 02	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია (020102)	3 817,0
01 01 03	სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის სამსახური (020103)	143,0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	590,0
01 02 01	სარეზერვო ფონდი (010201)	350,0
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვა (010202)	30,0
01 02 03	მგფ-ის და სხვა დავალიანებების დაფარვა (010203)	210,0

01 02 04	სასამართლო გადაწყვეტილებებისა და კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოჭრილი თანხები (010204)	
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**6 930,0**
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1 830,0
02 01 01	გზების მოვლა-შენახვა (020101)	300,0
02 01 02	გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია (020102)	1 000,0
02 01 03	საგზაო მოძრაობის ორგანიზება (020103)	430,0
02 01 04	საგზაო ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია (020104)	100,0
02 01 05	ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პარკირების მართვის ცენტრი (020105)	
02 02	წყლის სისტემების განვითარება	950,0
02 02 01	წყალსადენის შიდა ქსელების მოწყობა-რეაბილიტაცია (02 02 01)	100,0
02 02 02	წყალსადენის შიდა ქსელის ექსპლუატაცია (02 02 02)	800,0
02 02 03	კანალიზაციის ქსელების მოწყობა-რეაბილიტაცია (02 02 03)	50,0
02 03	საზოგადოებრივი სივრცეების განვითარება	300,0
02 03 01	სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია (020301)	200,0
02 03 02	საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების რეაბილიტაცია (020302)	100,0
02 04	პროექტირება და ექსპერტიზა	820,0
02 04 01	საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (020401)	350,0
02 04 02	შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზა (020402)	450,0
02 04 03	კომუნალურ ქსელებზე დაერთების უზრუნველყოფა (020403)	20,0
02 05	სამოქალაქო ბიუჯეტი	300,0
02 06	ბინათმშენებლობა	300,0
02 06 01	მრავალბინიანი საცხოვრებელი ეზოების კეთილმოწყობა (020601)	200,0
02 06 02	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა (020602)	100,0
02 07	გარე განათება და ელმომარაგება	1 330,0
02 07 01	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია (020701)	80,0
02 07 02	გარე განათების ელექტროენერგიის ხარჯი (020702)	900,0
02 07 03	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია (020703)	350,0
02 08	მუნიციპალური ტრანსპორტი	100,0
02 09	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1 000,0
02 10	სტიქიის პრევენცია და შედეგების ლიკვიდაცია	
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**2 900,0**
03 01	მუნიციპალური ნარჩენების მართვა და დასუფთავება	2 420,0
03 01 01	ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები (030101)	490,0
03 01 02	ნარჩენების გატანა (030102)	630,0
	ა.(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის	

03 01 03	მომსახურების ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფა (030103)	1 300,0
03 02	რეკრეაციული სივრცეების მოვლა-პატრონობა და განვითარება	180,0
03 02 01	სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა (030201)	170,0
03 02 02	მრავალწლიანი ნარგავების შეძენა (030202)	10,0
03 03	მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის დაცვა	300,0
03 03 01	ჩამდინარე წყლების მართვა (030301)	120,0
03 03 02	მიუსაფარი ცხოველების მოვლა-პატრონობა (030302)	90,0
03 03 03	მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა (030303)	90,0
04 00	**განათლება**	**4 900,0**
04 01	სკოლამდელი განათლება	4 750,0
04 01 01	ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის ცენტრი (040101)	4 750,0
04 01 02	სკოლამდელი განათლების ინფრასტრუქტურის განვითარება (040102)	
04 01 03	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების პედაგოგთა დაჯილდოება (040103)	
04 02	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	150,0
04 02 01	საჯარო და სამრევლო სკოლების ინფრასტრუქტურული სამუშაოები (040201)	25,0
04 02 02	100%-იანი გრანტის მფლობელი მოსწავლეების წახალისება (040202)	65,0
04 02 03	არაფორმალური განათლების ხელშეწყობა (040203)	60,0
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი და რელიგია**	**5 000,0**
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2 070,0
05 01 01	მასობრივი სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა (05 01 01)	50,0
05 01 02	სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარების ხელშეწყობა (05 01 02)	1 350,0
05 01 03	სპორტული კლუბების ხელშეწყობა (05 01 03)	**670,0**
05 01 03 01	ა(ა)იპ რაგბის განვითარების კავშირი (05 01 03 01)	370,0
05 01 03 02	შ.პ.ს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი მერცხალი	300,0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	2 760,0
05 02 01	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	84,0
05 02 02	კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა:	70,0
05 02 03	კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	30,0
05 02 04	კულტურის ობიექტების დაფინანსება	**2 576,0**
05 02 04 01	დაბა ურეკის კულტურის სახლი	172,0
05 02 04 02	ცენტრალური ბიბლიოთეკა	200,0
05 02 04 03	თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული თეატრი	110,0
05 02 04 04	სახვითი ხელოვნების ცენტრი	135,0
05 02 04 05	სახელმწიფო ანსამბლი გურია	206,0

05 02 04 06	სამხატვრო სკოლა	88,0
05 02 04 06	მუსიკალური სკოლა	160,0
05 02 04 07	სამუზეუმო გაერთიანება	240,0
05 02 04 08	მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი	1 150,0
05 02 04 09	ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი	115,0
05 03	ახალგაზრდული პროგრამები	70,0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	100,0
06 00	**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**1 840,0**
06 01	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა	876,0
06 01 01	ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	173,0
06 01 02	მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება (060102)	246,0
06 01 03	თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარება (060103)	55,0
06 01 04	ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირების დახმარება (060104)	260,0
06 01 05	გადაუდებელი და არაპროგრამული რეფერალური სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება (060105)	90,0
06 01 06	ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფიის) ერთჯერადი დაფინანსება (060106)	52,0
06 02	სოციალური მხარდაჭერის პროგრამა	964,0
06 02 01	სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (060201)	60,0
06 02 02	დღის ცენტრის დაფინანსება (060202)	45,0
06 02 03	დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარება (060203)	15,0
06 02 04	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება (060204)	215,0
06 02 05	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადადგილებულ პირთა დახმარება (060205)	14,0
06 02 06	სარიტუალო დახმარება (060206)	65,0
06 02 07	სოციალური ღონისძიებები (060207)	20,0
06 02 08	სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება (060208)	270,0
06 02 09	მზრუნველობამოკლებულთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა (060209)	165,0
06 02 10	ხანდაზმულთა სახლისათვის კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფის პროგრამა (060210)	15,0
06 02 11	სოციალურად შეჭირვებული ოჯახებში ახალშობილის (0-დან 1 წლამდე) მოვლისთვის საჭირო საგნებისა და საკვების შეძენისათვის ყოველთვიური დახმარება (060211)	70,0
06 02 12	გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული პროექტების ხელშეწყობა	10,0
07 00	**ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა**	**280,0**

07 01	ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარება	280,0
07 01 01	მუნიციპალური ქონების მართვა და განკარგვა (070101)	20,0
07 01 02	ოზურგეთის მუნიციპალტეტის ა(ა)იპ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ცენტრის ფუნქციონირება (ძონაცემთა ბაზის შექმნა) (070102)	150,0
07 01 03	მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა (070103)	20,0
07 01 04	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (070104)	40,0
07 01 05	სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა (070105)	50,0

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

Ø საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 5542,0 ათასი ლარი;
Ø თავდაცვა - 143,0 ათასი ლარი;
Ø ეკონომიკური საქმიანობა - 4630,0 ათასი ლარი;
Ø გარემოს დაცვა - 2900,0 ათასი ლარი;
Ø საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 2580,0 ათასი ლარი;
Ø ჯანმრთელობის დაცვა - 876,0 ათასი ლარი;
Ø დასვენება, კულტურა და რელიგია - 5000,0 ათ.ლარი;
Ø განათლება - 4900,0 ათასი ლარი;
Ø სოციალური დაცვა - 964,0 ათასი ლარი;

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (2022-2025 წლები);
2. ინფორმაცია 2021 წლის 9 თვის შესრულების შესახებ;
3. ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;
4. კაპიტალური ბიუჯეტის დანართი;
5. ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ;
6. ინფორმაცია ბიუჯეტით გათვალისწინებული „სხვა ხარჯები“-ს მუხლით დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

ბ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

წლიური ბიუჯეტის პროექტი არ ანიჭებს ან ზღუდავს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას და ასახავს არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის პროგრამულ კოდებში.

განხილვის პროცესში შემოვიდა შემდეგი შენიშვნები და რეკომენდაციები:

- საბიუჯეტო განაცხადის მთავარი დოკუმენტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილია აღწერილობითი ნაწილის გარეშე. ცხადია იგი ვერ აკმაყოფილებს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროგრამული ფორმატით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ბიუჯეტის პროექტის აღნიშნული სერიოზული ნაკლი დაუყოვნებლივ უნდა აღმოიფხვრას და კანონით დადგენილ ვადებში წარმოდგენილ იქნას საკრებულოში.

- პრიორიტეტების დოკუმენტში ასახული პროგრამების/ ქვეპროგრამების განხორციელების შუალედური და საბოლოო შედეგები და მათი შეფასების ინდიკატორები (ძირითადად გაზომვითი) ზოგადია და საჭიროა მათი შესაბამისობაში მოყვანა პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის მოთხოვნებთან.

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის თანმხლებ ბიუჯეტის გადასახდელების ცხრილში წარმოდგენილი ხარჯები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დაფუძნებულ კერძო იურიდიული პირებთან მიმართებაში სავალდებულო წესით გაიწეროს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის N99 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“ V გათვალისწინებული „ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის“ მიხედვით.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი მისი შემდგომი სრულყოფის მიზნით დაუბრუნდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერს.

გიორგი ჩაგანავა

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის
თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი